ალკოჰოლის მოხმარება, როგორც პანდემიის სტრესთან გამკლავება - განმეორებითი ჯვარედინ-სექციური კვლევის შედეგები

მაგისტრი

არჩილ ბადრიაშვილი

სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტზე ადიქციის კვლევების მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნის შესაბამისად

ადიქციის კვლევები

სამეცნიერო ხელმძღვანელი: პროფ. ჯანა ჯავახიშვილი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2023

განაცხადი

როგორც წარდგენილი ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

ა. ბადრიაშვილი

იანვარი, 2023

აბსტრაქტი

კვლევის მიზანია, შევაფასოთ ალკოჰოლის მოხმარების პატერნები საქართველოს მოსახლეობაში პანდემიის პერიოდში, კერძოდ - ბოლო 3 წლის განმავლობაში.
კვლევის სპეციფიკური ამოცანებია:

- ვიკვლიოთ ალკოჰოლის მოხმარების ქცევის კავშირი/ასოციაცია COVID-19-ის სტრესორებთან ბოლო 3 წლის განმავლობაში
- შევისწავლოთ ალკოჰოლის ავადმოხმარებასთან დაკავშირებული ფაქტორები - ასაკი, სქესი, ფსიქიკური ჯანმრთელობის პრობლემები
- ჩამოვაყალიბოთ შესაბამისი რეკომენდაციები ალკოჰოლის ავადმოხმარების შესამცირებელი პოლიტიკისთვის.

კვლევის მეთოდი არის მეორეული ბაზის მონაცემების დამუშავება. მონაცემთა ბაზა შექმნილია 2020- 2021-2022 წელს მოსახლეობის გამოკითხვის შედეგად. ეს არის ლონგიტუდური კვლევა, რომელიც იყენებს განმეორებად ჯვარედინ-სექციური გამოკითხვას საქართველოს ზოგადი პოპულაციაში, 18 წლიდან ზემოთ. 2020-2021 წლების კვლევის მეთოდი იყო არაალბათური შერჩევა, ინსტრუმენტი კი - ონლაინ კითხვარი. 2022 წელს - კვლევა ჩატარდა მრავალსაფეხურიანი, ალბათური, ზომის პროპორციული შერჩევის მეთოდით (Multi-stage, probability proportional to size selection method), იგივე ინსტრუმენტით, პირისპირი გამოკითხვის გზით. მონაცემთა შეკრება მოხდა კვლევის სამი „ტალღის“ განმავლობაში - 2020 წლის მაის-ივნისში (2000 რესპოდენტი); 2021 წლის იანვარი-თებერვლის პერიოდში (1190 რესპოდენტი) და 2022 წლის იანვარ-თებერვლის პირველი ნახევრის განმავლობაში (2000 რესპოდენტი).
შედეგები: კვლევამ აჩვენა ალკოჰოლის მოხმარება, როგორც პანდემიის სტრესორებთან გამკლავების დეზადაპტური მცდელობა. ალკოჰოლის ავადმოხმარება, ასევე, მჭიდროდ იყო ასოცირებული უარეს ფსიქიკურ ჯანმრთელობასთან, განსაკუთებით დეპრესიასა და შფოთვით მდგომარეობებთან.
დასკვნები: კვლევის შედეგები საშუალებას გვაძლევს, უკეთ გავიგოთ COVID-19-თან დაკავშირებული ალკოჰოლის ავადმოხმარების პატერნები საქართველოში. ეს სტრატეგია, როგორც სტრესორთა ტვირთთან გამკლავების მცდელობა არაადაპტურია, დაკავშირებულია უარეს ფსიქიკურ ჯანმრთელობასთან. ეს რეკომენდაცია შესაძლოა გახდეს ცნობიერების ამაღლების და ალკოჰოლის მოხმარების საპრევენციო პოლიტიკის ნაწილი.

საძიებო სიტყვები: COVID-19 და მისი სტრესორები, ალკოჰოლის მოხმარება, ფსიქიკური ჯანმრთელობა

Abstract

The aim of the study is to evaluate the patterns of alcohol consumption among the population of Georgia during the pandemic, in particular - during the last 3 years.

The specific tasks of the research are:

• To investigate the association of alcohol consumption behavior with stressors of COVID-19 in the past 3 years

• To study the factors related to alcohol consumption - age, gender, mental health problems

• To formulate appropriate recommendations for the policy to reduce the harmful use of alcohol.

The research method is the processing of secondary database data. The database was created as a result of the population survey in 2020-2021-2022. This is a longitudinal study using a repeated cross-sectional survey of the general population of Georgia, aged 18 and over. The research method for 2020-2021 was non-probability sampling, and the instrument was an online questionnaire. In 2022 - the research was conducted with a multi-stage, probability proportional to size selection method, with the same instrument, through a face-to-face survey. Data collection took place during three "waves" of the survey - May-June 2020 (2000 respondents); in the period of January-February 2021 (1190 respondents) and during the first half of January-February 2022 (2000 respondents).

Resultss: The study identified alcohol use as a maladaptive attempt to cope with pandemic stressors. Alcohol use was strongly associated with poorer mental health, particularly depression and anxiety.

Conclusions: The results of the study allow us to better understand the patterns of alcohol consumption related to COVID-19 in Georgia. The policy message that alcohol use is an maladaptive attempt to cope with the burden of stressors, and is associated with poorer mental health, is important. This recommendation could become part of an awareness raising and alcohol prevention policy.

Search Keywords: COVID-19 and its stressors, alcohol use, mental health

მადლობა

მადლობას ვუხდი ზოგადად ადიქციის კვლევების პროგრამას და მის ლექტორებს - მაღალი ხარისხის პროფესიული ურთიერთობებისთვის; ჩემი კვლევის ხელმძღვანელს, ქ-ნ ჯანა ჯავახიშვილს - გულისხმიერებისა და მხარდაჭერისთვის; ასევე, მკვლევარებს, რომლებმაც დიდსულოვნად მომცეს საშუალება, გამომეყენებინა მათი მონაცემთა ბაზები, რასაც ჩემი სამაგისტრო ნაშრომი დაეფუძნა.